

140/3  
1949

საქართველოს  
სამხატვრო აკადემია



N.3

ვეთნელო



# პ ი ო ნ ე რ ი

საბავშვო ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის  
შრომითი საბავშვო შუბნალი

№ 3 მარტი 1949 წელი  
გამომცემლობა  
„კომუნისტი“  
წელიწადი XXIII

П И О Н Е Р И Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

## ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერძანს

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, ლენინის ერთგულ მოწაფეს, ამხანაგ სტალინის თანამებრძოლს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, თქვენი დაბადების 50 წლისთავის დღეს.

მთელი თქვენი შეგნებული სიცოცხლე მიძღვნილია მუშათა კლასის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის რევოლუციური ბრძოლისადმი.

თქვენ, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი, მთელი თქვენი ცხოვრებითა და მოღვაწეობით გვიჩვენებთ მისი ინტერესებისადმი სამსახურის აღმაფროვანებელ მაგალითს, ღირსეულად ასრულებთ ამოცანებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია გისახავთ. დიდი სამამულო ომის წლებში თქვენ ასრულებდით პარტიის უაღრესად პასუხსაგებ დავალებას, როგორც სოციალისტური მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში, ისე ფრონტზეც, და თქვენთვის ჩვეული მგზნებარე ბოლშევიკური ენერჯითა და მამაცობით, ქედავდით მტერზე გამარჯვებას.

გისურვებთ თქვენ, ჩვენო მებრძოლო მეგობარო და ამხანაგო, ჩვენო ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძე, მრავალ წელს ჯანმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

საბავშვო ორგ. კ. ვ. (ბ) ცენტრალური  
კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა  
საბჭო.



755380  
6292



### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხანაგ ლ. ვ. ბერიას ლენინის ორდენით დაჯილდოვების შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხანაგ ლ. ვ. ბერიას დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე მისი დიდი დამსახურების გამო ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია დაჯილდოვებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
თავმჯდომარე ნ. შხვარციანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
მდივანი ა. გორაკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 29 მარტი.

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ქართველი ხალხის საამაყო შვილი



მიმდინარე წლის 29 მარტს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას 50 წელი შეუსრულდა. საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ცხოვრების ეს 50 წელი ხალხის მხურვალე სიყვარულით არის მოსილი. ეს სიყვარული დიდმა ადამიანმა დაიმსახურა ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულებით, თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის შეუწყვეტელი ზრუნვით.

ლენინ-სტალინის პარტიის სახელოვანი შვილი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია მთელი თავისი კეთილშობილებითა და დაუშრეტელი ერთგვით ზრუნავს ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენი საშობლოს ძლიერებისათვის, მოზარდი თაობის ბედნიერებისათვის.

პიონერ-მოსწავლეებს წარჩინებული სწავლისათვის მულამ აღფრთოვანებს მიაღვრინებდა ბრძნული სიტყვები: „მოსწავლეთა გმირობა და სიმამაცე—ეს ფრიად ზე სწავლა!“ ამ სიტყვებს სწავლას დაწაფებული ჩვენი ქვეყნის აგონები და ბიჭუნები ყოველდღიური დაოცბრომელი ბეჯითობით უპასუხებენ და წარმატებით ეუფლებიან მეცნიერებათა საფუძვლებს, იზრდებიან კომუნისმის განათლებულ და მცოდნე მშენებლებად.

პიონერ-მოსწავლეებმა კარგად იციან, თუ რა სიყვარულით ზრუნავდა საბჭოთა სკოლის ასაყვავებლად, მისი როლის ასამართლებლად ლავრენტი პავლეს-ძე ბერია საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის პოსტზე ყოფნის მთელ პერიოდში, კარგად იციან, რა დიდ ყურადღებას აქცევდა იგი მოსწავლეთა სკოლისგარეშე განათლების მოწყობას, მათ ინიციატივას, გამოუმოგონებლობას.

ლავრენტი ბერიას ინიციატივითა და ზრუნვით მოეწყო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე შესანიშნავი კაბინეტებითა და დარბაზებით, მოეწყო საბავშვო ტექნიკური სადგურები, სასპორტო მოედნები, პიონერთა საზაფხულო დასასვენებელი ბანაკები და სხვა.

მეტად დიდად ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას იფაწილი საბჭოთა საქართველოს აღორძინების საქმეში. პარტიისა და მთავრობის დადგინების საფუძვლზე კოლხიდის ჭაობების დაშრობის წამოწყება, საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ჩაისა და ციტრუსების ფართოთი გაზრცელება, მთლიან რიგი ახალი ქარხანა-ობიექტების აშენება, თბილისის ღირსშესანიშნავი ნაეობობანი, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების კეთილ-

მოწყობა და მრავალი სხვა, — დაკავშირებულია ლავრენტი ბერიას სახელთან. ქართველი ხალხი ამტკობ უწოდებს ლავრენტი ბერიას თავის საამაყო შვილს.

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია დაიბადა 1899 წლის 29 მარტს, სოფ. მერხეთელში, დარბი გლეხის ოჯახში. 1917 წლის მარტში ლ. ბერია შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ამიერკავკასიაში დაშინების, მუსაფრელებისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში ლ. ბერია აქტიურ პარალელურ მუშაობას აწარმოებდა ბაქოში და საქართველოში.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ლ. ბერია გადადის ხელმძღვანელ სამუშაოზე საბჭოთა დაზვერვის ორგანოებში.

1931 წელს ლ. ბერია არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. 1932 წელს მას ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად.

ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელის პოსტზე ლავრენტი ბერიამ გამოიჩინა ბრწყინვალე ორგანიზატორული ნიჭი, ლენინურ-სტალინური სიმტკიცე. მისი ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში — წარმატებით შესარულეს ორი სტალინური ზოთუფლი. 1935 წელს, სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობაში შესანიშნავი წარმატებისათვის ლ. ბერია დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ლავრენტი ბერიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბოლშევიკების ისტორიის საკითხების გაშუქებაში. 1935 წელს დაწერილი მისი ცნობილი ნაშრომი — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ბოლშევიკების მეცნიერული ისტორიის ძვირფას საგანძურს წარმოადგენს.

1938 წლის დამდვივდნ ლავრენტი ბერია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო. 1941 წელს დაინიშნა სსრ შირის სახელმძღვანელო თამაჯდომარის მოადგილედ და მას მენიქა სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისარის წოდება.

გერმანული ფაშოზის წინააღმდეგ განაღებული სამამულო ომის დღებში ლ. პ. ბერია დაინიშნა სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრად.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებით ლ. პ. ბერიას „ოთიანობის დროის ძნელ პირობებში საქურველოსა და საომარი მასალის წარმოების გაძლიერების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო 1945 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება.

1946 წლის მარტიდან ლავრენტი ბერია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა.

ლ. პ. ბერია არის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.


კავკასიის დაცვის საქმეში ლავრენტი ბერიას დიდი როლი ბრწყინვალე ფურცლად შედის საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ისტორიაში.

მადლიერი ქართველი ხალხი ლავრენტის ბერიაზე ჰქმნის ახალ და ახალ, რომელშიც მხურვალე სიყვარულს გამოხატავს თავისი მსამაყო შეილისადმი.

დიდი სტალინის შტკიცე და ერთგული თანამებრძოლი, ბელადის სიბრძნით შთაღონებული ლავრენტი პავლესძე ბერია თავისი სტალინური სიმტკიცითა და გამჭრიახობით დაუღალავად იღწვის საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისათვის, ხალხთა მატერიალური კეთილდღეობისათვის და კულტურის კიდევ უფრო აყვავებისათვის.

საქართველოში ლავრენტი ბერიას მიერ დანერგილ სტალინურ ტრადიციებს სახელგანდად ავრძელებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

დღევანდელთა და გამარჯვება ლუწის სტალინის პარტიის სახელოვან შეილს ლავრენტი პავლესძე ბერიას.



### ღავრენტი ბერიას


აღრიანად ადგებოდა,  
დასწრებდა სსივეებს დილის,  
ტკბილი განცდით დაუვლიდა  
შეგვარებულ ახალ თბილისს.

აწვევებოდა სტალინის მთას,  
ხეთა ჯიშებს შეარჩევდა,

„ეს აქ დარგეთ! ეს იქ დარგეთ“,  
მუშაობას შეგვაჩვენდა.

ესლა? სტალინს მხარში უდვას,  
ეურბდლებას როდი გვაკლებს.  
და არწივის თვალთ ჰგმირავს  
ქვეყნის მტერს და ქვეყნის აძკლებს.

*ო. შიშკური*



# განათლებული პედაგოგში

აფხაზეთი ჩვენი ქვეყნის ულამაზესი კუთხეა წარმატაცი ზღვის სანაპიროებით და მშვენიერი მაღალი მთებით. აფხაზეთში არის სოფელი მერხეული. იგი არც ისე შორსაა სოხუმიდან, — ოციოდღე კილომეტრი თუ იქნება. გზები ძალიან კარგია. შეგიძლიათ იმგზავროთ მანქანით, ცხენით. ქვეთადაც სასაამოვნოა მგზავრობა.

სოხუმს როგორც კი გასცდება მანქანა და დრანდის გზატკეცილს გაუყვება, თვალწინ ლამაზი სანახაობა გაიშლება: მარცხნივ გორაკებზე მწვანეში თეთრად შეფენილი სანატორიუმები, კლდეები, ბღეები, მარჯვნივ ლურჯი ზღვისპირი, საუტხოი პლაჟი, მუქი ლურჯზოლებიანი ტილოს კარვები, საბანო კაიუტები. კლასურს შემდეგ, სადაც პატარა მდინარე მაჭარა გზატკეცილს სჭრის და ქვევით მიემთრება, გზა იყრება. ზღვისპირს გაუყვება კვლავ დრანდის გზატკეცილი, ხოლო მერხეულისა და ქლუხორის გზა შერა ჩრდილოეთით მთებს მიამურებს. მერხეულამდე გზა სულ მდინარე მაჭარას მარცხენა ნაპირს მისდევს.

ლამაზ ხეობაში მიედინება ეს ანკარა, პატარა მდინარე, რომლის სიღრმეში თეთრი კემუხებით მოჭედული ფსკერი მოსჩანს.

გააფხება სასტიკი იცის მსჯარის წყალმა, მისი გამაღილი რიყე ამისი მოწყეა.

მემოდლომაზამთარში ბალახი წამოიზრდება მდინარის ბუკობებზე და სანამ გაზაფხულის წყალდიდობა დაიწყება, ნახირი სძოვს ამ რიყის ახლომასლო.

ახლაც რიყეზე ნახირი ღვას და ქვევით თხმელებთან, ძეძენარში შამევი ჭახტახებს.

გზატკეცილს მარცხნივ თუ მარჯვნივ მეტწილად ევკალიპტების ხეივანი მიჰყვება. ასე არ იყო წინათ.

მაღალ და თეთრ ხიღს ახლო გაუვალი ტყე იყო და ეკალბარდი. წინათ ასე ამბობდნენ: ისეთი ადგილია, ჩიტო კურკანტელს ვერ გამოიტანსო. ახლა ის ტყე საღაა. გაუკადავთ. კობი შეუზენავთ. გზის სიმაღლისათვის გაუთანაბრებიათ ორივე მხარე. მწყრივად ორმოები გაუყოლებიათ. ეს დრანდელ კომკავშირელთა თოსნობით მოხდა. აქ მშვენიერი ბაღი იქნება სულ მალე.

ძველად აქ ხის ხიდი ორიოდ მგზავრს რომ ერთად გაატარებდა, საოცარ ჭრაჭუნს ასტეხდა. ცხენოსანი აფხაზები უფრო მდინარის ფონს არჩევდნენ.

ახლა აქ რკინა-ბეტონით ნაშენი მაღალი ხილია; ხიღს რომ გადაივლით, უკვე მერხეული იწყება. აქედან გზა მდინარის მარჯვენა ნაპირს მიჰყვება.

სოფლის ლამაზ ადგილასაა მოთავსებული მერხეულის სოფსაბჭო. ქუჩებს ამკობს ელექტროგაყვანილობა. ნაძვებითა და პალმებით დაშვენებულ ბღში ღვას ამ სოფლის ღვიძის, დიდი ქართულის ამხანაგ ლაგუნტი ბერიას ქანდაკება. იგი გასტყერის შობოლიურ ამაყ მთებს, საკოლმუერნეო გააღიღ მინდვრებს, მარადითვლიან, ზვიად კავკასიონს.

სოფლის სწორი შარაგზა ისევე მდინარე მაჭარას გადაივლის, სამთვლიან ძველ ხმაუ-



მერხეულის საშუალო სკოლის ბიონერ-მოსწავლენი ამზადებენ კედლის გახუთის მორიგ ნიმურს.

რა წისქვილს უკან მოიტოვებს და ისევ მდინარის მარცხენა ნაპირს მიჰყვება.

მერხეულის ბერიას სახელობის კოლმეურნიერობის ეზო საუკეთესო გუთხეობით, მანქანებით, იქვე ძაბლობლად საძველლოდან ცეცხლი ანათებს, საბარჯელის ქმეხა ისმის და გრდემლზე ჩაქუჩების ხმაშეწყობილი ტაკატუკი.

კოლმეურნიერობის თავმჯდომარე ამხანაგი იოსებ ბერია, ჭარბი ვაკეატი დინჯად გვიამბობს:

— შარშან კარგი მოსავალი მივიღეთ, წესს უფრო მეტს მოველით. ზამთარი ხანგრძლივი და მკაცრი იყო. ეს მარცვლულის მოსავლისათვის ძალიან კარგია. აი ვახუშტულიც მოვიდა...

ამხანაგი იოსები წინ გავვიძღვა. კოლმეურნიერობის ეზო ფართოა, ზევით მთის ფერდეს სწვდება და ქვევით მდინარეს, რომლის ნაპირებზე უკვე ჰყვავიან ლაყვარლოვანი იები.

კოლმეურნიერობის ეზოს ბოლოში ელექტროგამანაწილებელი ძალიან კომუერა დგას. ყოველ ოჯახში ანათებს ილიჩის ნათურა.

შარაგზის ორივე მხარეზე მოჩანან ლამაზი ოღა-სახეობი.

— იქ, მაღლა ჭადრებს იქით, სახლი რომ დგას, კოლმეურნიერობის კვარაცხელია ეკუთვნის... ამ ბოლო ხანებში ცოტას ავადყოფობს ნიკო, მოხუცდა... — გვითხრა ამხანაგმა იოსებმა.

გვეწყინა. გვინდოდა მოგვესმინა მოხუცის ტკბილი საუბარი. ლაყვარლები პავლესძის აღმზრდელის ნახვა ყველა ჩვენგანს გულით გვეწადა. მაგრამ მოხუცის შეწყობება მოგვერიდა.

გორაკზე, ნაძენარსა და ევკალიპტების ხეების ბოლოში, თეთრი, ლამაზი, მაღალი შენობა მოჩანს. ეს მერხეულის რეაქციონის საშუალო სკოლაა.

პიონერულმძღვანელი ეუნა ესართია წინ გავვიძღვა. მრავალფასობიან, ნათელ ოთახში პიონერ-მოსწავლეების მომღერალთა გუნდი მეცადინეობდა. ჩვენს შეკითხვაზე — თუ რას ამზადებს გუნდი, ხელმძღვანელმა — ცქციტმა ბიჭუნამ, ჯერ მორცხვად გვიპასუხა, მერე უფრო გათამამდა:

— ჩვენი გენდა კარგად შევისწავლოთ „სიმღერა მია ბერიანზე“ და ვიმღეროთ იმ საღამოწარმოდენაზე, რომელსაც ჩვენი სკოლა მიუძღვნის მას დაბადებიდან ორმოცდაათი წლის შესრულების დღეს.

ჩვენს ირგვლივ მალე პიონერ-მოსწავლეთა დიდი ჯგუფი შეგროვდა. ეუნა ესართიამ წაბლისფერი ნაწნავებიანი გოგონა წარმოგვიდგინა. მან გვითხრა:

— ჩვენი სკოლის პიონერებს დიდი ხანია გადაწყვეტილი გეჰქონდა, გვევლით ბაბუა ნი-

კოს სახლში. ავად არის... გასულ კვირას თბილოდა. დურუმ, როგონამ და გუჩამ გვები დაკრიფეს, ძალიან გავიხარეთ. ავადმყოფი ყურეში გამოვიდა ბაბუა. შეჩურჩულდა ირგვლივ. კარგად გრძობდა თავს ბაბუა ნიკო, ჩვენმა მისვლამ უფრო გაახარა. ბევრი რამ გვიამბო მია ლაყვარების ბავშვობაზე. ჩვენი ეს არასოდეს დაგვაიწყებდა... ის ხეივნიც კი გვაჩვენა, რომელზედაც უყვარდა ბავშვობისას მია ლაყვარების ასკლა. ის აღვილიც დაგვისახვდა, სადაც თევზობდა თავის მეგობრებთან ერთად. მერე, რვა წლის რომ შეიქნა, სხუთში წავიდა სასწავლებლად. მაშინ მერხეულში სკოლა არ ყოფილა. თურმე გული წყდებოდა, თავის სოფლის, მეგობრებს და ტოლებს რომ შორდებოდა. მაგრამ ყოველივე დასძლია. სწავლა ხომ აუცილებელია! შეჯდა ცხენზე და გასწია, თურმე, სოხუმისაკენ.

გოგონამ დაამთავრა, გაილიმა. ჩვენ მოგვხიბლა მისმა ბავშვურმა, სასიამოვნო საუბარმა.

— იქ, სოფლის დასაწყისში რომ სკოლა დგას, მერხეულის საშუალო სკოლაა, ერთერთი შესანიშნავი რაიონში, — გვითხრა დირექტორმა ქსენია კვარაცხელიამ. ამ ქალს როგორც ჩანს, სხვისი წარამატება თავის გამარჯვებაზე ნაკლებად როდი ახარებს. თვითონ გამოგვეყვა, სოფლის ამბები მოგვითხრა. ბევრი რამ საინტერესო გაიხსენა:

— მერხეულის გატაკეცილი ცნობილია. უნდა გენახათ იგი ომის დროს...

მერე დაწერილებით მოჰყვა.

მრისხანე ორმოცდარბი ამ გზით მიემართებოდნენ კავკასიის დამცველები ქლუხორისაკენ. მტერი კავკასიონზე იყო და შორს, მაღალ მთებში სოფელი ფსხუ გერმანელებს ეჭირათ. სასტიკი განსაცდელის ეპიზოდი.



მერხეულელი პიონერები სწვნიდნენ ფართობს ევკალიპტების დასაჩვენად.

# ქ ე ქ

განუზომელია დედის სიყვარული, მზრუნველობა, სიკეთე და ამაგი. „მზესთან სინათლურა და დედასთან სითბო“, ამბობს ძველი ხალხური ანდაზა. დიდი ხანია არსებობს ხალხში ეს ანდაზა, რომელსაც იმეორებენ თაობები.

ხალხის დიდ ბელადს ვლადიმერ ილიასძე ლენინს, რა გადაუდევლი საქმეებითაც არ უხდა ყოფილიყო გართული, ყოველთვის ახსოვდა დედა; უყვარდა და მზრუნველობდა მას. სადაც არ უხდა ყოფილიყო ვლადიმერ ილიასძე ლენინი, ყოველთვის სწერდა დედას სიყვარულით აღსავსე წერილებს. უსახურეო გულისხმიერებითა და სინაზით გამოირჩეოდა უდიდესი ადამიანი. ლენინი ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლობდა, როცა დედამ შეამჩნია, რომ ის პაპიროსს ეწეოდა. მან სთხოვა შეიღოს, არ მოეწია პაპიროსი. ლენინი შეჰპირდა. მართლაც და დედის თხოვნა ვლადიმერ ილიასძე ლენინს მთელ თავის სიცოცხლეში არასოდეს არ დაეწიებოდა.

ქართულმა დედამ აღზარდა მთელიო მუშათა კლასის დიდი ბელადი იოსებ ბესარიონისძე სტალინი. ბავშვობის წლებში, პატარა სოსო მულამ დედის დამჯერე, მოსიყვარულე და დამხმარე იყო. გორის სემინარიაში სოსო სამაგალითოდ სწავლობდა და თავისი წარმატებით მულამ ახარებდა მშობელს დედის გულს.

ბედნიერი დედაშვილის სითბოთი და სინაზით აღსავსე დამოკიდებულება ყველა ადამიანისათვის სამაგალითო უნდა იყოს. დიდი ბელადი როცა დროს იშოვიდა, მოიხქაროდა თბილისში დედის სანახავად.

დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ჩვენს ქვეყნის დედებს ვაჭიერებისა და სახელოვანი ადამიანების აღზრდაში. სიყვარულით ივონებს თავის აღმზრდელ მასწავლებელ ქალს

სამეზოს საბჭოთა კავშირის გმირი ი. კოველუბი. ეს ტბილი დედა და მასწავლებელი ძულამ ახსოვდა გმირს ფრონტზე შიისხავე დღეებშიაც კი.

დედის სახელი, მისი წმიდა სახე მულამ საყვარელია, დაუვიწყარი და მანუგეშებელი. ჩვენში განსაცდელის დროს, ან უკანასკნელი ვაჭირების უამს ასე უთქვამთ: „ვიამე, დედა! მიტველ დედაო!“ ეს გამოთქმა შეთხვევითი როდია. ყველა სასიყვარულო გზა, ყველა ნუგეში, სითბო და სინაზე დედისაგან მომდინარეობს.

არსად, არც ერთ ქვეყანაში ისე დიდებით მოსილი არ არის ქალის—დედის სახელი, როგორც ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში. ქალი მამაკაცის თანატოლია ჩვენში: ქალი — გმირი, ქალი — ექიმი, მასწავლებელი, ინჟინერი, კომპოზიტორი, მფრინავი, კაპიტანი...

დიდი სამაშულო ომის დროს ბევრი გმირი საბჭოთა ქალი იბრძოდა თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე ვალკიშულ უზარმაზარ ფრონტზე მამაკაცებთან ერთად. ხოლო შინ დარჩენილი ქალები გმირულ შრომას ეწეოდნენ ფრონტის დასახმარებლად.

ომის შემდეგ საბჭოთა ქალმა კიდევ უფრო ასახელა სამშობლო თავისი მოღვაწეობით. ქალები გმირები შეიქნენ, ქალებმა მსოფლიო რეკორდები დაამყარეს. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში საუკეთესო მოღწევებისათვის ნიჭიერმა საბჭოთა ქალებმა სტალინური პრემიის ლაურეატობა დაიმსახურეს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალი უუფლებოა. მისი ხელფასი მამაკაცის ხელფასთან შედარებით ძლიერ მცირეა.

საბჭოთა მშრომელი ქალები თავიანთი ბედნიერი ცხოვრებისათვის მადლობას უძღვნიან ლენინ-სტალინის დიად პარტიას.





# ბერიას ჩამოსვლა

ჩამოხვედი,—  
და მთამ ნისლი აიყარა,  
გამოშუქდა დარიალის კარი!  
შენი მცხეთა, დიდუბე და ნარიყალა,  
დაწინწკლული, შეხფიანი მტკვარი,—  
დიდი მთები აჭარის და თრიალეთის,  
სამგორის და ტირიფონის ველი,  
შუქიანი ხრამის წყალი და ალგეთი  
შენს ვაჟკაცურ შემოხედვას ელის...

ჩამოხვედი,—  
და თბილისი გახალისდა—  
შენი თბილი, მშობლიური კერა!  
როცა მტერი კართან ედგა დანასისხლად,  
შენ ისმინე მისი გულის ძგერა,—  
შენ წარუძებ ვაჟკაცებს და ის სანგრები  
შენ გამართე გაუვალი, მყარი;  
ურჩხულს აღარ დაანებე დასანგრევად  
საქართველოს მოქედილი კარი!

ალექსანდრე პუშკინი



## იყავ დღეგრძელი

სულ ცეროდენა ვისმენდი ამას  
და ახლაც ისევ გულივით დამაქვს  
ეგ უკვდავი და დიდი სიმართლე:  
სტალინი არის სამშობლოს მამა  
და კომუნიზმის მებაირალტრე.  
დედაენიდან ვსწავლობდი ამას,—  
ვერ დავივიწყებ მის ნათელ ამავს,—  
ვიმეორებდი შთაგონებული:  
მხნედ უდგას მხარში ბელადს და  
მამას

ბერია მუდამ მისი ერთგული.  
მიტომ შევხარით ასე ერთპირად;  
თვით სალამურმაც გაიზებირა  
სიმღერა ჩვენთა ფიქრთა შემცველი,  
მიტომ გუგუნებს მას საქართველო:  
— ტკბილმშობლიურო და  
საყვარელო,  
ჩვენო ბერიავ იყავ დღეგრძელი!

ხუჩუბა ბერიძე

1949 წ. ნარტი.  
მოსკოვი.

# გივის შთაბეჭდილებანი

ჩვენ ახალი კოლხიდის მოსახლენი ვართ. ვეკალიბტებით, გრეიბფრუტისა და ფორთოხლის პლანტაციებითა დაფარული სოფელი. პალიასტომის ტბა ჩვენგან შორს არაა; ხომ გახსოვთ „პალიასტომის ტბა“ — ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა?!

გუროამის მამა გახუ, — ჩვენი კოლმეურნეოამის ბრიგადირი, — ძველი მეტევეხეა. მე და გურამი ხშირად დაეყვებით ძია გახუს ტბაზე. ჩაესხდებით ხოლმე დიდ, ლამაზ ნაგში, მოვეუსვამთ ნიჩბებს, გავასრიალებთ შორს, შორს... მერე გავშლით ბაღებს და... თქვენი იკითხეთ ჩვენი გულის ფანქვალი იმის მოლოდინში, თუ რამდენი თევზი ამოჰყვება ბაღეს! მერე როგორ მიყვარს თევზაობა!

...მამაჩემს კი არ მოსწონს მინცდამანინც მეტევეხეობა.

— აი, ნადირობა მესმის—მამაცთა სპორტია,—იტყვის ხოლმე იგი.

მამას ძარბოლაც ნადირობის ტრფილუს ეძახიან. ხშირად, როცა ფორთოხლის პლანტაციოში დღიურ საქმეებს დროით მოითაყვებს, მხარზე გადაიცილებს ტულის ორლულიანს, ჩანთას, წელზე შემოირტყამს განიერ სავაზუნეს. გაიხმობს, მიუალურსებს სეირას და გაჰყვება გზას შორს, ტყისკენ. სეირა ხეიმობს მანინ, უხარია, რომ პატრონმა საქ-

მე გაუჩინა, — მართლაც, სირცხვილია უქმად ყოფნა, როცა ირგვლივ ყველა შრომობს და ფაციფუტშია!

ერთ დღეს მამამ უხვად მოჰკლა ტყის ქათამი, ერთიც უშველეიელი გარეული ბატიერია — ჩვენი დედაბატის ტოლა. ძლივს მოიტანა ნახადირევი სახლში, ხენწით ჩამოიხანა დამძიმებული საკიდებები, დაახვავა სახლის წინ, შუბლზე ოფლი გადაიწმინდა, მერე დედაჩემს გასძახა:

— აბა, გავენათ ესენი და გავამზადოთ, ბარემ ცოტას ილოსაც ჩაეუტან თბილისში, ხვალ მიმელის კაცი.


თბილისის ხსენებაზე კვლავ აგენტო და მუხლბეში ჩაეუვარდი მამას (მხიარულ გუნებაზე იყო და გაეუბედღე):

— ძამა, მამილო, მეც წამიყვანე ძია ილოსთან!

მართლაც—და რა დამაჰყავებდა, ხუთებით ვიყავი გადასული შემბღვ კლასში, ზაფხულის არდადეგები იყო.

მამამ ერთი შემოახვდა, უღვაშებზე ხელი გადაისვია, ოდნავ მიიბრუნა თავი დედაჩემისაკენ, რომელიც უკვე მესდგამოდა თადარიგს, და მტკიცედ უთხრა:

— მოამზადე ეს ბიჭი, წავიყვან! დედასთან კი დამპირდა ხვეწნა, ეშინოდა—ქალაქში მანქანა ან ტრამვაი გაიტანსო, მაგ-



მეთა ახალი საცხოვრებელი სახლი.

პინერთა სასახლის ფასადი.

კონო-თეატრი „არსთაველ“.



რამ დაეკიდებ და მალე ისიც დავითანხმე. რა ხანია, ბიძაჩემი არ მინახავს. ილო ბიძია იშვინებელი ინჟინერია, მოსკოვში დაამთავრა ინსტიტუტი, ჯერ იქ მუშაობდა, მერე თბილისში გადმოიყვანეს, დიდი ხანი არაა. ილო ბიძიას მანქანა ჰყავს თბილისში. მამ, დღეს საღამოს თუთის მატარებლით თბილისისაკენ... იმ წუთში გურამი მომაგონდა და დამუნანა, რომ იგი ჩემი ბედნიერების თანახმარი არ იყო. შემდეგ მომაგონდა ჯოტო. მართალია, გუშინ ჯოტომ ყველა გავაკოცა თავისი ღონითა და სიმკვირცხლით—თორმეტი წლისაა და იმხელა ბიჭი დასცა ერთ წუთში! ისიც მართალია, რომ ჯოტო გუშინს აქვთ განსაკუთრებით ლამაზი და კარგი შესახედავი მეჩვენება, მაგრამ მაინც მიხარია, რომ სწორედ გივი ვარ და არა ჯოტო. — ჯოტო კი არ მიწყავთ თბილისში.

\*\*\*

თბილისი! მატარებელი გაჩერდა. ვაგონიდან რომ ჩამოვედი, ხან ხალხი წამეფარა ხელბარგიანი, ხან ვაგზალი, მე კი თბილისი მინდა ვნახო ჩქარა! აუერ ბიძაჩემი. ხელი მოგვხვია, საითაოდ გადაგვკოცნა. მალე ერთ უშველემებელ მოედანზე გავედით, ეს სადგურის მოედანი ყოფილა. სულ ასფალტნაგებია. მილეთის ხალხი ირევა. ფერად-ფერადი ტრამვაები გამოჩნდნენ, ხარები აახშიანეს. ზმურით შემოგვეგება თბილისი. — პო-პო, რამდენი მანქანა! — მინდა შეეძახო, მაგრამ თავს ვიკავებ. ჩვენ ერთ ჩალისდერს ღია მანქანასთან შეეჩერდით. ეს ბიძაჩემის მანქანა ყოფილა. მამა


და ბიძა უკან ჩასხდნენ ხელბარგით, მე — შოფერთან. მანქანა დაიძრა და ვაგონებში ჩაიძვრა. მანქანა დაიძრა და ვაგონებში ჩაიძვრა. მანქანა დაიძრა და ვაგონებში ჩაიძვრა. მანქანა დაიძრა და ვაგონებში ჩაიძვრა.

\*\*\*


მეორე დღეა, კვირა. ნათელი, მზიანი დარიღავს. დილის საამო სიგრილეა. მამამ თავის მონადირე ამხანაგების ნახვა მოისურვა და წავიდა, იქნებ რომელიმე მათგანი მაინც დამიხვდეს შინა. დღეს საუფლდაგულოდ უნდა დავათვალიერო თბილისი.

— იარე ნელი სკლით, — ეუბნება შოფერს ბიძაჩემი. ნიაგი თმას მიქორჩავს, საამოდ მელამუტება სახეზე, მთელს ტანზე.


მივიღივართ. ჩემს თვალწინ ლამაზი, განიერი ასფალტიანი ქუჩაა გაშლილი. ავტო მტკვარი ხიდს გავდივართ. ეს ჩელუსკინელთა ხილია. მისრიალებს მანქანა. არ თავდება ხილი — რა გრძელი და განიერია, რა ლამაზი! ქუჩა ახლა ორ გორას შუა მოემწყვდა. კი არ მოემწყვდა — ამ ქუჩას გაუჭირა ეს გორები. მიქირიან ტრამვაები, მანქანები. რა წარმტაცია ყველაფერი ეს. რა ამოშლის მათ ჩემი მესხიერებიდან! მინდა კარვად დავიმხსოვრო ბიძაჩემის ახსნილი. ხანდახან წუთით წარმომოდგება ჩემი სოფელი, ჩემს ირგვლივ თავმოყრილი ტოლი ბიჭები. თუ შემიძლია, ნეტავ, მათ გავუზიარო ჩემი შთაბეჭდილებებ-



ასბინიანი სახლის კოშკი.



საქ. სსრ მთავრობის სასახლე.



ახალი სახლი რუსთაველის პრისიპეტრს

ბი. არც ჯოტოს, არც ვერაშს, არც ბახვას არ უნახავთ ეს მოედანი — გმირთა მოედანი, ეს თურთმეტსართულიანი სახლი, არც გორაკზე წამომდგარი ეს გოლიათი თეთრი შენობა უცნაური, ლამაზი გუმბათით, ირგვლივ მოფრიალე წითელი აღმებით. ეს ცირკის შენობააო, — მითხრა ბიძაჩემმა, — ენახავთ მას შიგნითაც, მის განსაცვიფრებელ წარმოდგენებსო. ორი ათას მაყურებელს იტევს ცირკის დარბაზიო. ეს ზომ ერთი პატარა ქალაქის მოსახლეობას უდრის!

ყველაფერი, რასაც ირგვლივ ამ მოედანზე და იმ გორაკზე ვხედავ, ის დიდი, ჩელუსკინელთა ხიდიც, თითქმის ჩემი ტოლები ყოფილან, მოკლე წარსული ჰქონია მათ. აი, ეს გორა გაუქრიათ შუაში და ასეთი მშვენიერი ქუჩა გაუყვანიათ, მტკვარზე ახალი ხიდი აუდგიათ, ჩელუსკინელთა ხიდი, ყველაზე დიდი და ლამაზი მთელს მტკვარზე. ან ეს სახლოვანები? — თერთმეტი სართულია იგი. მიძინელება ახლოდან დავინახო მისი უკანასკნელი სართულები. ამ აღვილასაც გორა ყოფილა თურმე წინათ. ახლა აი, ეს ასბინიანი შენობაა აქ აღმართული. მის წინ თბილისელ ბავშვთა საყვარელი ზოოპარკია — ძალიან გამაზარა ბიძიამ ამ სანახობის დავალიერებით. რამდენი მზეცი, რამდენი ფრინველი ენახე. მე კიდევ ვეწვევი ზოოპარკს.

გბრუნდებით, კვლავ იმავე გზით მიგეაჩროლებს მანქანა ბიძია ილო მეუბნება. რომ ჩვენ ახლა ენახავთ საბავშვო რკინიგზას. ბავშვთა ტექნიკურ სადგურს. აგერ ვრცელი, თვალუწვდენელი ბაღი აფორისფერი ბილიკებითა და ლამაზი ხეივნებით. აქ ენახე მატა-


რებელი და მერე როგორი! ისეთი კი არა, როგორითაც თბილისში ჩამომდგარი პატარა, სულ პატარა. მისი მარჯვენა თი—თბილისი კი არაა ასობით ცილომეტრით რომ იზომება. მისი მარჯვლეთი „პიონერი“, „სიხარული“. ამ ორ პაწა სადგურს შორის მანძილი ერთი კილომეტრია, ცოტა მეტი. ვინ არიან აქ მემანქანებად, სადგურის უფროსებად, კონდუქტორებად? — ჩემი ტოლი გოგომბები, პიონერები, აგერ ტექნიკური სადგურები...

არა, აუცილებლად უნდა ვეწვიოთ ჩვენი სოფლის პიონერები ერთად თბილისს!

სტადიონი „დინამო“! იგი ძია ლავრენტი ბერიას სახელს ატარებს, ისიც ძია ლავრენტის ინიციატივითაა აშენებული. რა მშვენიერია. ფეხბურთის თამაშსაც ენახავ. ორმოცი ათასი კაცი მოგროვდება დღეს ამ სტადიონზე. ამ სტადიონს ცხრა პექტარი ფართობი უკავია, თითქმის იმდენი, რამდენიც ძია ბესოს რგოლის ზღვასავით მობიძინე სიმინდის ყანებს...

ყველაზე ძვირფასი და დიდებული საჩუქარი ბავშვებისათვის ეს პიონერთა სასახლეა: იგივე ბერიას სახელს ატარებს. წინათ ამ შენობაში მთავრობის დაწესებულებები ყოფილა, მერე ძია ლავრენტის მითითებით გადაუკეთებიათ და პიონერებისათვის გადაუქციეს, ხოლო მის გვერდით ახალი დიდი შენობა აღმართავთ — საქართველოს სსრ მთავრობის სასახლე.

რუსთაველის პროსპექტი! რამდენჯერ გამიჯონია ეს სახელი აქ ჩამოსვლამდე, მიხა-



ახალი ცირკი.



რუსთაველის ძეგლი.



შენობა ფუნქციონალის პლატოზე.



ხავს მისი ფოტოსურათები გაზეთებში, ჟურნალებში, მაგრამ სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჰარბა. მწევანეში ჩარბულა მთელი ეს ქუჩა თავისი სასახლეებით.

აი, სტალინის სახელობის სანაპირო, ასფალტისანი, განიერი ქუჩა. აქ შენობები არაა. ძველია შისი სიმშენიერის გაღმორცემა. იგი სულ რამდენიმე წელიწადში გაუყვანიათ. მარცხნივ მტკვარი მიჰქუჩს, მარჯვნივ ხეებია ჩამოყრილებული, ერთ ადგილას ცოცაბო კლდეებიდან მრავალსართულიანი სახლები დაგვექვირის. აფერ ბაილი, კარლ მარქსის ხილს ქვემოლ ძია სტალინის დიდი მონუმენტი. სანაპიროს გასწვრივ მთელ სიგრძეზე ულექტროლაშიონები ჩამოყრილებული. რა ლამაზი იქნება სანაპირო ღამით!... როგორადაც არ უნდა აღიღდეს მტკვარი, ნაპირს მაინც ვერ გაღმობაზავს. მტკვარი შეკრულია ბეტონის არტახებით, წინათ კი ზშირალ წალეკავდა თურმე გაზაფხულზე ნაპირებს, ზიანს აყენებდა ახლო უბნებს. რიონივით სკოღნია მტკვარსაც აღიღება.

... კვლავ რუსთაველის პროსპექტის ერთ-ერთ უღიღდეს შენობაზე მინდა ვიამბოთ. ამის მსგავსი აბა, საღ მიხანავს! იგი არც ერთ სხვა შენობას არ ჰგავს თბილისში. მისი მარბარილოს თვითიული სვეტის სისქე ორი იგენი დიდი ჰადრის ტოლაა, ეზოში რომ გვიღვგას. მისი კოლონადა მოპირკეთებულია მარბარილოთი და ძვირფასი ქვებით. ხუთი წელი მოუღდომებით ამ ბუმბერაზს ბუნობის აგებისათვის. ეს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალია.

... აი, ფუნქციულორზე ვართ, რა სანახა-

ობაა, რა ზღაპარი შეედრება ამრჩამეცუქსი ლეს! მთელი თბილისი ხელისგეჭმუქსიქსქსქს ჩანს. უთუოდ მსგავსი სანახაობა მინდოდა გადამშლოდა თვალწინ მატარებლიდან ჩამოსვლის უმაღვე. აი, კიდევ უფრო საიდან იგეძიობა თბილისის სიღიღე და მშენიერება!

... საღ არ ვიყავი თბილისში, რა არ დამთავლიერებინა ბიძაჩემმა მოკლე ხანში — ბერიას სახელობის მოუღანნი, კომკავშირის ხეივანი, ვაკე და საბურთალო, პლესანოვის პროსპექტი, ბევრი დიდი და პატარა ქუჩა თავიანთი მრავალსართულიანი სახლებით, ბაღები, მოედნები, სკოლები, უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების გრანდიოზული შენობები, რომლის კარებს მაღე შევალბებ მე და ჩემი ტოლები, მოვიარე მთელი თბილისი — ჩვენი უშველესი დედაქალაქი, მაგრამ ყველაზე ძვირფასი და დასამახსოვრებელი მაინც ის უშესანიშნავესი ადგილები და შენობებია, რომელთაც ჩემი ხნის ისტორიალა აქებ.


ახლაც რამდენი ხარაზოა დედაქალაქში, რა გახურებული მშენებლობა! — სულ უყეთესი და უყეთესი ხდება ჩვენი თბილისი.

ყველაფერი ახალი, დიდი, ლამაზი, რაც კი თბილისში არის — ძია ლავრენტი ბერიას უშენებია, მის მოწაფეებს უშენებიათ.

და ვანა წალკოტად ქცეული მთელი კოლხიდა, ჩემი მღიღარი. წარმტაცი ახალი სოფელი, საიდანაც თბილისს ვეწვეთ, ძია ლავრენტის შექმნილი არ არის!

იღიღოს მისი მარჯვენის ძალა!

**პლაქიმერ თორღა**



სანაპირო



მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა

# წერილი ლავრენტი ბერძენს

სალამს გითვლით, სალამს გითვლით  
ჩონგურების მწყობრი ტაშით.

აგერ, ათი წელწადაი  
მზესთანა ხარ კრემლის ბალში;  
მზესთანა ხარ კრემლის ბალში  
და უღებხარ იმ მზეს მხარში.  
მზე ანთია ქართლის ცაშიც,  
მზე ანთია კოლხიდაშიც...

სალამს გითვლით, სალამს გითვლით  
ჩონგურების მწყობრი ტაშით  
ქაბუკები, გოგონები,—  
ჩვენ, ქართველი ყველა ბავშვი.

არ იქნება, თუნდაც წუთით  
დაგვაიწყდეს, არ იქნება;  
და ყოველთვის გვეხსომება  
თქვენი ტკბილი დარიგება;  
იმ ბრძნულ ნათქვამს ჩვენ გულეში  
ბევრი ღამე უთევია—  
მოწაფეთა გმირობა და  
სიმაჰაცე—ხუთებია.

დე მშობლებმა თვითონ გვაქონ,  
უფროსებმა თვითონ გვაქონ,  
ჩვენ კი უნდა პიონერის  
წრფელი სიტყვით ვიპატაკოთ:  
რომ ქართული სკოლის ყლორტი  
ზეცას სწვდება ღაღანითა—  
კიდევ უფრო გაიჭოთლა,  
კიდევ უფრო გაყვავილდა.

რეკავს, რეკავს და მიგვიზმობს,  
ვით სიცოცხლე, დილის ზარი:  
სკოლისაკენ მივიჩქარით—  
მშობლისაკენ მივიჩქარით,  
თავს ვეველებით მასწავლებელს—  
მისი ღიმიც მოგვეფენია,  
იგიც ჩვენი ღედა არი,  
იგიც ჩვენი მშობელია.

ჩვენ სხვაც ბევრი სიხარული  
გვაქვს კლასში და სკოლის გარეთ;  
პიონერთა შეკრებაზე  
გორში თავი მოვიყარეთ,  
სულზე ტკბილი საქართველო  
სულ ფეხდაფეხ მოვიარეთ—  
ხე ვერ ვნახეთ წაქცეული,  
ვერც ნარჩიტა—მგლოვიარე...

პაუ, თეთრი ჩიტუნები  
ლურჯ გუნდებში ურევია,  
გადიფრინეს გორის ციხე,—  
სულ ფრთა მოხატულებია,  
კრემლისაკენ გაღვივდნენ,  
მოსკოგს მიეშურებინან...  
ვინ არ იცის,—ის ჩიტები  
ჩვენი წრფელი გულეებია.  
სალამს გითვლით, სალამს გითვლით  
ჩონგურების მწყობრი ტაშით  
ქაბუკები, გოგონები,—  
ჩვენ, ქართველი ყველა ბავშვი.

მუხრან ლეპანიძე





არლიონ ქოჩია

# ოქროს გული

ა მ ბ ა ვ ი

ბებია ძირიხანი გახარებული დაბრუნდა შინ, — იღიმებოდა, თვალები უბრწყინავდა, ლეკვავდა.

მაიასა და მამანტის გაუცვირდათ: — რა ახარებს ბებიას? ლხინში ხომ არ იყო? წისქვილში წავიდა საფეკავი წაიღო, რა შეხვდა გასახარელი? პირიქით, მამა მოვიდოდა კოლმურენეობიდან და დატუქსავდა: რატომ წავდი წისქვილში, მე წავიღებდი.

— მაია! მამანტი! შოღით, რა ვითხრათ! უთხრა ძირიხანმა შვილიშვილებს, თვითონ კი მერხზე ჩამოჯდა, ხურმის ძირას.

ბებიას დარგული იყო ეს ხე და აქ უყვარდა ბებიას დასვენება, მეზობლებთან მუსაიფი, შვილიშვილებთან საუბარი.

— ჰოდა. მოვიდვიარ წისქვილიდან, მომამქეს ფეკვილი ტოპრით. გზას მოვკრი-მეთქი და მარაგზაზე როდი გამოვედი — ბოლიკს დავადექი. სანამ გზა აღმართზე მოდიოდა, არც თუ ისე მიკირდა, ჯოხს ვიშველიებდი. დაიბაროს რომ დავადექი, მაშინ კი მიმტყუნეს მუხლებმა. ტვირთიც დამიძიძიდა. ხან ჩამოვჯდებოდი, ხან ავდგებოდი. მთიდან დაშვება უფრო ძნელია ვიდრე ასვლა. თან ტვირთი მაწვებოდა მხარზე, თან ჩემი საშოკი წელი, თანაც ღორღიანი ბილიკი ფეხებს მტკენდა. წინათ იმ ბილიკებით ორ საათში მოვსულვარ შინ, დღეს კი ვერ

ესძლიე გზას. ნაწვიმზე მიწა ჩამოვქვეყნულა და გამიძხვლა სიარული. წარმოვიდგინე, როგორ დაღლილი მოვი-ლოდი შინ, როგორ გვიან და როგორის ნიშნის მოვებით მეტყუოდა მამათქვენი.

— ახია შენზე! რას მიდიოდი წისქვილში? ვინ გეხვეწებოდა?

მაგრამ იმტომ წავედი წისქვილში, რომ აღამიანა უნდა იშრომოს, სანამ მკლავში ძალა აქვს და გული ერჩის. ქვასაც მოვიკლვება ხავსი ბუ უმრავად გვლია... თანაც მომეხასიათა წისქვილში წასვლა.

ჰო, როცა დაღმარ-დაღმარ სიარული ვერ შევძელი, მარაგზაზე გამოველი. ერთი დიდი ნაძვის ძირას ჩამოვჯექი დასასვენებლად, გზის პირას.

საბარგო მანქანამ ჩამიარა. დატვირთული იყო, თორემ ხელს აწვევდი და ვთხოვედი მოფერს წავეყვახე. აგერ, ერთმა მსუბუქმა მანქანამ ჩამოიარა. წამოვდექი, ხელით ვანიშნე, გაჩერდი-მეთქი, მაგრამ გაკჭრა შოფერი. საქმე ჰქონდა თავისი და ეშურებოდა კაცი.

მზე გადახრილიყო. წამოვდექი, ტომარა ზურგზე ავიკიდე, ჩემი ერთგული ჯოხი მოვიმარჯვე და ტაბათი გავუდექი გზას. მივდივარ, გვეცავ გზას და არ იკეცება კი. უცებ მანქანა დამეწია — ლამაზი, ლურჯად შეღებილი. მართო ერთი მგზავრი იჯდა შიგ.

— ეგებ წამიყვანოს? — ვიფიქრე და ავწიე ჯოხი.

მანქანამ კლდეს მოუხვია.

— ეჰ, მე ვინ გამოიჩერებს ასეთ ლამაზ მანქანას? — ვიფიქრე, — ისევე შენ უნდა დამეხმარო, ჩემო კარო, — მივმართე ხელჯოხს. მანქანის გუგუნი მომესმა.

— რა ავეჩრებს ამ მანქანას? ვის ეძახის? — ვიფიქრე მე. — ალბათ, სხვა მანქანაა წინ და ნიშანს აძლევს, არ შემეჩხვხო. კლდესთან ვიწრო გზაა და საშიშია გავლა.

ისევე ისმის მანქანის გუგუნი, ახლა მეორე მანქანა ყვიროდა, რომელიც უკან მოდიოდა.

კლდე-კლდე ვიარე, რომ მანქანა არ დამეჯახებოდა. კიდე რომ გავიარე, ის ლამაზ მანქანა დავინახე. ვილაც სათვალეებიანი კაცი ჩემსკენ იხედებოდა, ხელს მიჩნევდა. ვიფიქრე, იმ უკანა მანქანას ეძახის-მეთქი და შევჩერდი. სათვალეებიანი კაცი კი მე მიჩნევს ხელს.

თვალს არ ვუჯეროდი, მაგრამ ფეხს კი აუფიქრებ. მივედი მანქანასთან.

— ჩაჯექ, დედი! — თავაზიანად მითხრა სათვალეებიანმა კაცმა და მოგინდინა კარი გამოვალე.

ჯერ ტომარა ჩავდე, მერე ჩემი ჯოხი, მერე თვითონ შევედი.



— ააიო, დედი? — შემეკითხა უცნობი.  
 — ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, შვილი, იქ ფეხვარობ კოლმეურნეობის კანტორის ახლოს.  
 მანქანა დაიძრა. სული მოვითქვი. მიხარია, რომ ჩქარა ჩავალ შინ. თან ვფიქრობ: ვინაა ეს დალოცვილი, ასეთი პატივი რომ მცა?  
 — როგორი მოსაველი გაქვთ წელს, დედი?  
 — მკითხა ჩემმა მოკეთემ.  
 — კარგი მოსაველი, შვილო, ძალიან კარგი! — ვუბასუხე მე. შარშან გმირები გვეყავდა. წელსაც მოველით გმირების მოსაველს.  
 — გმირების მოსაველს? — ჩაიცინა მან, კმაყოფილმა.  
 სოფლის ავკარგი გამოკითხა. მეც მოვეუყვე და დაწერილებით ვუამბე, ვუთხარი, რომ კარგი კლუბი გვაქვს, ელექტრონის განათება, კარგი სკოლა გვაქვს. თქვენი ამბავიც ვუთხარი — ორი შვილიშვილი მყავს მეთქი, ორივე პიონერი — მია და მამანტი. მია მეორე კლასშია, მამანტი მეოთხეში-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ მე წელს 100 შრომადღე გამოვიმუშავე, პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკი ჩავაბარე. აბა! ესეც ვუთხარი... ჰოდა, ველაპარაკები და ველაპარაკები,

თან კი ვფიქრობ: მეცნობა ეს კეფიკეფიკე ნეტავი ქულს მოიხდიდეს, რომ ვაჩვენებდი ხელო. დაკვირებისა კი მერიდება, უზრდელობაში არ ჩამომართვას-მეთქი..  
 კანტორასთან რომ მივედი, უცნობმა მანქანა გააჩერებინა, მკითხა:  
 — აქ ჩამოხვალ, დედი?  
 — ჰო, შვილო, — ვუბასუხე მოკრძალებით. როცა ჩამოვედი, მალეობა გადაფხალე:  
 — შენ კი გაიხარე შვილო, რომ მოხუც ადამიანს პატივი მეცი. შენც მოხუცდები ერთ დროს და გაიხარდება, როცა ვინმე ხელს გაიწოდებს, ტვირთს შეგიმსუბუქებს... გაიხაროს შენმა მშობელმა, რომ გაუზრდიხარ ოქროს გულისა..  
 უცნობმა ქული მოიხადა. გამიღიმა... და მამინე ვიცანი! ვიცანი მისი ძალიანი შუბლი, დიდრონი თვალები, შუქიანი სახე..  
 — ძია ლავრენტი ყოფილა! — ერთხმად შესძახეს ბავშვებმა და ბებიას გადახვივნენ.  
 — ჰოდა, ხედავთ, რა უბრალო კაცი ყოფილა ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილი?  
 — ეჰ, რატომ შენთან არ ვიყავით ბებია?! — ინატრეს ბავშვებმა.



### თ ვ ი თ მ ბ ე რ ა ვ ი მი რ ი

ქიქა, ვაზა, გრაფინი და ბევრი სხვა მინის ნივთი გაკეთებულია მინისმბერავ ოსტატი-საგან. მინისმბერავი რკინის მილის ბოლოს უშვებს ქვაში, რომელშიაც ჯდამდნარი მინა დღოს. გადამდნარი მინა, როგორც მუარაბა, ეწებება რკინის მილს. როცა ოსტატი მილში ჩაბერავს, მილის ბოლოზე ჩნდება მინის მბრწყინავი ბირთვი. (ისე როგორც ბავშვები ჩაბერვით აყეთებენ საპნის ქაფისაგან ბუშტებს).  
 მინისმბერავის შრომა არაა გასართობი. ის მეტად მძიმეა და ჯანმრთელობისათვის საზიანოა. ბევრი ოსტატი დაავადებულა ტუ-

ბერკულოზით, გულით და ხშირად ყურთა-სმენაც დაუკარავს. ეს იყო წინათ.  
 ლენინგრადელმა ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს შეეცვალათ მუშაობის ეს წესი. მოიწყვეს გამომგონებლები და გააცნეს საქმის ვითარება.  
 გამომგონებლებმა გააკეთეს თვითმბერავი მილი, ამ მილს ერთ ბოლოზე წამოცმული აქვს რეზინის ბურთი. ამ ბურთის ოსტატი უჭერს ხელს, საიდანაც ჰაერი გადდის მილში და მბერავს მინის მასას.  
 თვითმბერავმა მილმა საგრძნობლად შეამსუბუქა ადამიანის შრომა.



# პატარა

# ემირი



## ნიჰორაზაბასკირია

ნახ. ვ. ბელეკიახი

### I

შავი ზღვა ნაპირს მთებიანს  
ხან მტრობს და ხან შეიროგებს.  
ხან წვიმა მოუშხაბუნებს  
ხან მზე დაჰყურებს კვირიკეს.\*

ავღრიან დღეებს ღრუბლები  
მთებიდან მთაზე გადმოყავთ;  
ხან კაშკაშა მზე დაჰყურებს  
ძველს დაგვასა და ბობოყავთს.

დღეს მზე კიადობს და მთები  
თავს იწონებენ მთებურად;  
ნაკადულების ხმაურში  
რა დილა გათენებულა!

მთებზე თანდათან ჩნდებიან  
კაბები ჭრელი, მკრთალები;  
ბუჩქებს თავს დასტრიალებენ  
ჩაის მკრეფავი ქალები.

ყველანი თავს იწონებენ  
და ყველა საქმეს აკეთებს.  
თავს ევლებიან ლამაზნი  
თავიანთ ლამაზ ნაკვეთებს.

ყველას ახარებს კარგი დღე,  
ყველა ღიმილით მოსილა,  
მხოლოდ დღეს ერთი აღარ ჩანს,  
ერთი ქალი არ მოსულა.

\* კვირიკე, დაგვა, ბობოყავითი—ქობულეთის რაიონის სოფლებია.

სადა ხარ, ქალო ამაყო,  
დღეს შრომას რად მოერიდებ?  
— ქალაქში წაუყვანიათ,  
ავად გამხდარა ფერიდებ.

### II

ნეტავ, აქეთ რად გამორბის,  
ეს მხარე რამ მოაგონა?  
მოდის პატარა ნარგული,  
მოდის პატარა გოგონა.

აქეთ ხეებიც უცხოა,  
აქეთ ჩირგვიც კი ჩანს დიდად,  
მაგრამ გამორბის გულდაგულ  
მელანგადასხმულ ჩანთითა.

სკოლიდან მოდის, ჩაისკენ  
გარბის პატარა და გზიდან  
ვერ ააცდინა ყვავილმა,  
მაყვალმა ვერ მიიზიდა.

პატარა არის და მაინც  
ცდილობს ამაყად, მხნედ იყოს;  
აი, ლამაზი მინდორი,  
აქ მუშაობდა დედიკო.

სჯერა,—სულ მალე დედილო  
განიკურნება, მორჩება.  
მაგრამ დედიკოს ნაკვეთი  
ხომ შერცხვა, ხომ ჩამორჩება?!



საქართველოს  
პატარაების  
მეგობრული  
ბიბლიოთეკა



არა! დედას არ შეარცხვენს,  
დედა არ დიჩაგრება.  
დედის მაგიერ ბუჩქებში  
პატარა ქალი ჩადგება.

ნარგული, პატარა გოგო,  
დედიკოს იმედად ყავდეს!  
აქ იმუშავებს ყოველ დღე  
დღისა და ღამის შეყრამდე.

შევიდა ჩაის ბუჩქებში  
ყურს უდგებს წყაროს დენასა,  
მუშაობს, ქარი კი ფურცლავს  
პატარა დედა ენასა.

III

მალე იხილავს ღამაზ მთას,  
(მანამდე რა მოასვენებს?).  
ფერიდეს ისევ მშობლიურ  
ბალახის ცვარი ასველებს.

ისევ გალობენ ფრინველნი,  
გზაზე ხბოებიც ბლავიან,  
ისევ ედება ეკალი  
მის ღამაზქალაღაიას.

ავადმყოფობამ გაითიშა  
ამ ღამაზ ვაზაფხულიდან.  
ქვრივია, ერთი ბავშვი ყავს,  
მის ნაკვეთს ვინ მოუვლიდა?

„მალაღ მოსავალს მივიღებ!“  
უთქვამს და მუდამ ახსოვდა.  
ახლა რაღა ქნას ფერიდემ?—  
თავის ბაღს მიუახლოვდა.

რას ხედავს! ჩაის ბუჩქები  
ღამაზად გარინდებულან,  
გალაღებულან ერთთად,  
საკრეფად გამზადებულან.

ვინ გამოფარცხა ბაღიდან  
ფიჩხი, ფოთოლი ხმელი და  
ბუჩქებისათვის სასუქი  
ვინ ზიდა ოქროს ხელითა?!

გმირობისათვის ოცნება  
ხედავს, ფუჭი არ გამოდგა.  
ვისი წყალობით?—უეცრად  
მისი ნარგული წამოდგა.

„ნარგული! შენ ხარ?“—„დედილო!“  
რა აღტაცების ხმებია!  
ხარობენ და სიხარულის  
ცრემლებით ინამებია.



მოსწავლე — დედგატი

დილაღრიან თბილისის სადგურში თავი მოაყარეს  
საკაფშირო კომკავშირის XI ყრილობის დელეგატებმა.  
მათ შორის ყურადღებას იქცევდა ყველაზე ახალგაზრ-  
და, შავფერმანი გოგონა, უჩვეულო სიხარული ეხა-  
ტა სახეზე. აღტაცებით უსაუბრებოდა აშანაგებს,  
რომლებიც აცილებდნენ მას ჩვენი ქვეყნის დედაქა-  
ლქისაკენ.

...ელმავალმა წასვლის წინაღი მისცა. დაიძრა მოს-  
კვის მატარებელი.

სარკმელთან იდგა — თბილისის ქალთა 46-ე სკო-  
ლის მე-9 კლასის მოსწავლე ლილი ლითანიშვილი,  
ყრილობის დელეგატი. ახლა იგი სულთა და გულთ  
მოსკოვში იყო, დელეგატებს შორის... იგი აქედანვე  
ფიქრობდა თუ როგორ გადაეცა მათთვის მოსწავლეთა  
კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის საყოფაო  
გამოცდობა.

ლილი ლითანიშვილი უნარიანად ხელმძღვანელობს  
მოსწავლეთა კომკავშირულ ორგანიზაციას. მან კოტა  
როდი გააკეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესების,  
დისკოლინის განმტკიცებისა და კლასგარეშე საქმიან-  
ობის ფართოდ გასაშლელად.

— უფრო ბევრთად ვიმუშაებ დაკისრებული მო-  
ვალეობის შესასრულებლად, ვისწავლი, ღრმად დავე-  
უფლები მეცნიერებათა საფუძვლებს, რათა ღირსეუ-  
ლად გავამართლო საქართველოს კომკავშირის დიდ  
ნდობა, — ასეთი შთაფრთხილი გაემგზავრა მოსკოვს ზუ-  
თისანი მოსწავლე, კომკავშირული ორგანიზაციის  
მდივანი ლილი ლითანიშვილი საკავშირო ალკე XI  
ყრილობაზე.

3. აბაშიძე

პლენარის პროსექტის დასასრულს, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, მყუდრო ადგილას, ერთ ლამაზი შენობა დგას. მასში მოთავსებულია ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური. აქ მუშაობენ და შეცდინებულნი მომავალი გამოგონებლები და რაციონალიზატორები. ეს სადგური დაარსდა ლავრენტ პავლეს-ძე ბერისა მითითებით. მას შემდეგ, ვინ იცის, რამდენი სპეციალისტი მოეფინა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს. ბევრ მათგანს პირველად ამ სადგურში ჩაესახა სურვილი გამხდარიყო ინჟინერი, რადისტო, ფერინაევი, თუ ქიმიკოსი.

ლამაზი შენობის კარები ფრთხილად შევალე, წინ ლურჯხალათიანი, სანდომიანი სახის კაცი შემომეგება. ის აღმოჩნდა ტექნიკური სადგურის დირექტორი გიორგი ეპიტაშვილი.

— რა განყოფილებები და ლაბორატორიები გაქვთ ამ სადგურში? — შევეკითხე გიორგის.

— ავიამოდელისტების, სატრანსპორტო, რადიოტექნიკის, ფოტოგრაფიის, ქიმიის. ყოველ მათგანს სპეციალისტი ინჟინრები ხელმძღვანელობენ.

მე სურვილი გამოთქვი დამეთვალყურებინა განყოფილებები და გავცნობოდი ბავშვთა საქმიანობას.

— როგორც გსურდეთ, გნებავთ ინსტრუქტორს გავაყოლებთ, — თავაზიანად მითხრა გიორგიმ.

მესიამოვნა, მაღლობა გადავუხადე და სატრანსპორტო და რადიოტექნიკის განყოფილებაში შევედი. ყოველ დაზგასთან ბავშვი მუშაობდა, დიდი და პატარა. ჩემთვის არავის არ შემოუხუნდნია, გატაცებით ჩასცქეროდნენ თავიანთ საქმეს.

— აი, სად მიეცა „ნიჟსა გზა“ მუშაობის ეს მხოლოდ ჩვეს ქვეყანაში, ლუბინისა და სტალინის ქვეყანაში! — გავიფიქრე და მე.

შევეცქეროდი ამ ბავშვებს და დამენანა მძიმე წლებში გატარებული ჩემი ბავშვობა. ეს იყო რევოლუციამდე, მასსოვს, ბათუმში ვიღაც შევეტლემ ცელის ბორბლებს გაუკეთა საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი რეზინები, რომელიც პაუერი იბერებოდა. მასსოვს რა დაძაბული ინტერესით შევეცქეროდი ჯერ ბორბლებს და მერე შეეტლეს. ისიც მასსოვს, შეეტლეს მან მათრახი მომხვდა, რადგან თითო შეეცხე ბორბალზე გადაკრულ რეზინს.

— ვინ გნებავთ? — ფიქრებისაგან გამომარკვია ერთმა ახლად ტანაყრილმა ჭაბუკმა.

— თქვენი სტუმარი ვარ!


ეს ჭაბუკი აღმოჩნდა ნოდარ ინჯია, რომელმაც ბავშვთა მესამე ოლიმპიადაზე გაგვანციფრა თავისი რადიოაპარატი და რისთვისაც მე მჯის სათი და ქების სიგელი მიიღო განათლების მინისტრისაგან.

— ამჟამად რაზე მუშაობთ? — შევეკითხე ნოდარს. — ან როგორ მოხვდით აქ.

— პატარაობიდანვე შემეყვარა რადია და ელექტროსაქმე. მაშინ მუხუთე კლასში ვეყავი, ტექნიკური სადგური პოინერია პარკში იყო, იქ ჩავეწერე, მერე ლ. პ. ბერიას სახელობის პოინერთა და ოქტომბრულთა სასახლეში ფიზიკის კაბინეტში ვმუშაობდი. ახლა აქა ვარ. 1948 წელს გავაკეთე რადიონათურის დასაცავი, იგი ბავშვთა მუშვიდ დაუსწრებელ გამოფენაზე გავგზავნე. მთორე ხარისხის დიპლომი მივიღე... არ მოველოდი. ამ მიღწევამ ფრთები შემამსხა, განვაგრძობ მუშაობას, ვოცნებობ გავაკეთო „მაგნიტოფონი“ — ხმის ჩამწერი აპარატი, რომელიც ყველგან და ყოველ შემთხვევაში გამოდგება, მაგრამ ვგრძობ, რომ ამისათვის ჯერ ცოდნა არ მყოფნის, საჭიროა სწავლა, უმაღლესი ცოდნის მიღება. ვოცნებობ ვისწავლო და შევექმნა „მაგნიტოფონი“, რომელსაც ვუწოდებ „მაღლობას“.

ამ სახეწოდებამ გამაყვირვა, მაგრამ მომეწონა და არაფერი ვუთხარი, მეც მაღლობა გადავუხადე ნიჭიერ ბავშვს.

— ბოლოში, აქ არის კიდევ ამხანაგი, ჩემზე უფრო მომხადებელი, აღფრედ ლობჯო. მას პირველი ხარისხის ჯიღლო — ევლისიპედი მიიღო. რადიოაპარატი „გამოიგონა“, უსათუოდ ნახთ. რა ვქნა, დღეს რად არ მოვიდა? — ნოდარის საქციელმა ამაღელვა, რაკეთილმობილებმა, რა თავდაბლობა. შევიბოდი, რომ ლობჯოს ვინახულებ-მეთქი.





— ის ახალგაზრდა რიღას აკეთებს? —  
მეგვრის ქაბატუკე მივუთითე.  
— ის ალბერტ წერეთელია — მე-9 კლასელი. მეტად საინტერესოა მისი გამოგონება.

გაცნობის შემდეგ წერეთელი მიმართავს თავის ახალ ნაშუშევარს. ეს გახლავთ ელექტროთვლი, ანუ დარაჯი. ამ თვალის დახიშნულება ასეთია: მაგნიტად, სტუმარი მოვიდა და თითხის დაკეტულ კარებთან დგას, შესვლა უნდა. ელექტროთვლი დაინახავს თუ არა მას, ზარის რეკით ამცნობს მოზინადრეს, ვიღაც მოვიდაო.

— რთულია, მაგრამ გავაკეთებ. შინ ამის გაკეთების საშუალება არა მქონდა, მხოლოდ ვოცნებობდი მასზე, აქ კი ჩემს ოცნებას ფრთები ესხმება. ყოველგვარი ხელსაწყო და მასალა მაქვს. დიდ დახმარებას მიწევს ჩვენი ლაბორატორიის ხელმძღვანელი ინჟინერი შალვა ბურთიკაშვილი. უდაოდ გავაკეთებ! გთხოვთ, ჯერ არავის უთხრათ! თუ ისეთი გამოვიდა ჩემი ნაშრომი, როგორც მე მინდა, მაშინ მას დავარქმევ „მადლობას“.

— ეს ბავშვი რაღას აკეთებს? — კვითხე მის მეგობარზე.

— ზღვის ექსპრესს.  
ზღვის ექსპრესის მკეთებელი ვლადიმერ ფეტეიბევილი 12 წლისაა, დაზგას ძლივსა სწუდება.

— ჩემი ექსპრესი სწრაფი იქნება. იგი შედგება ორი ნაგისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ბაქანით არის დაკავშირებული. ბაქანზე კაბინაა, კაბინაში ძრავი, რომელიც წყალში ჩაშვებულ ხრახნს ააბუშვებს, ჩემმა ექსპრესმა შეიძლება თვითმფრინავსაც გაასწაროს... ხოლო როცა გავიზრდები, უმაღლეს სასწავლებელს დავამთავრებ და ისეთი ექსპრესი უნდა შევქმნა, რომელიც ყველაზე სწრაფი იქნება. ჩემი ოცნებაა აგრეთვე ავანშენო ისეთი გემი, რომელსაც ცურავც შეეძლება და ფრენაც!

პატარა მეოცნებემ შეთბლიდან ოფლი მოიწმინდა მჯერა, რომ ამ თაობის ახალგაზრდობა ყველაფერს გააკეთებს. რა ნიჭიერი თაობა გვყავს!

აი, რადისტი ვლადიმერ მიქაძე—13 წლის ბიჭი. იგი აკეთებს ლინდაგზე მჭროლავ ცე-

